შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 88/20

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„06“ აპრილი 2020წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია, №31, სახელმწიფოს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.118, მოსარგებლე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს (ID:204858163) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის პროცესში, საპროექტო შენობების მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობებზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას და მის მომიჯნავე შენობებს, საპროექტო IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის პროცესში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობებზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად.

ქალაქი თბილისი, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია, №31, სახელმწიფოს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.118, მოსარგებლე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს (ID: 204858163) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა შედგება 5 ნაწილობრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ბლოკებისაგან:

„A“ ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა, მიწისქვეშა 1 სართულით მთელ ფართზე, მიწისქვეშა მე-2 სართულით მცირე ნაწილში და მიწისზედა 4 სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 60სმ;

„B“ ბლოკი - სატელევიზიო პავილიონების შენობა, მიწისზედა 4 სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა ±0.00 ნიშნულს ქვემოთ მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ±0.00 ნიშნულს ზემოთ ლითონის კარკასული ტიპისაა. საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით, სისქით 80სმ;

„C“ ბლოკი - კინო, ვიდეო და აუდიო ფირების არქივი, მიწისქვეშა 1 სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 40სმ;

„D“ ბლოკი - ტექნიკური დანიშნულების შენობა, მიწისქვეშა 1 სართულით და მიწისზედა 1 სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 40სმ;

„E“ ბლოკი - ავტოსადგომი, ნაწილობრივ მიწისქვეშა 2 სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 40სმ;

შენობების პირობით ნიშნულს (I სართულის იატაკის დონეს) ±0.00-ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული +565,50. ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „LIRA SAPR 2016 R3“-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ²; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ².

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, საძირკვლების ფუძეს წარმოადგენს ძლიერგამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები, რომლის საანგარიშო მაჩვენებლებია: პირობითი საანგარიშო წინაღობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_0=3,0$ კგძ/სმ^2; დეფორმაციის მოდული: $E=250$ კგძ/სმ^2.

საპროექტო ტერიტორიაზე ასაშენებელ მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტებს:

აღმოსავლეთის მხრიდან:

„B“ ბლოკი; „C“ ბლოკი და „D“ ბლოკი საკადასტრო საზღვრიდან მოშორებული არიან საკმაოდ დიდი მანძილით (20მ და მეტი).

„A“ ბლოკის ძირითადი ნაწილიც დაშორებულია საკადასტრო საზღვრიდან საკმაოდ დიდი მანძილით (20მ და მეტი), „A“ ბლოკის მცირე ნაწილს ჯერ ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე საპროექტო ღია ტერასა არანაკლებ 7,0მ მანძილზე, შემდეგ ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე საპროექტო გზა არანაკლებ 6,0მ მანძილზე, ხოლო შემდეგ ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №21, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.008 მდებარე შენობა №2/1..

შენობა №2/1 ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით ლითონის კარკასული (მსუბუქი) ტიპისაა, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მინიმალური დაშორება საპროექტო „A“ ბლოკის შენობიდან მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიან შენობა №2/1-მდე შეადგენს 14,0 მეტრს. საპროექტო „A“ ბლოკის აღმოსავლეთის მხარეს, ქვაბულის ფედების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 60სმ, ბიჯით ხიმინჯების ღერძებს შორის 60სმ. ხიმინჯების ფარდა, გარდა ქვაბულის ფედების მდგრადობისა, გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას უახლოეს მომიჯნავე შენობა №2/1-ზე, რომელიც დაშორებულია „A“ ბლოკის შენობიდან ყველაზე ახლო მონაკვეთში 14,0 მეტრით.

„E“ ბლოკი - ავტოსადგომი, განთავსებულია საკადასტრო მიჯნის მიმდებარედ. მას ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №21, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.008 მდებარე შენობა №1/1.

შენობა №1/1 ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით ლითონის კარკასული (მსუბუქი) ტიპისაა, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მინიმალური დაშორება საპროექტო „E“ ბლოკის შენობიდან მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიან შენობა №1/1-მდე შეადგენს 1,0 მეტრს.

საპროექტო „E“ ბლოკის აღმოსავლეთის მხარეს, სამხრეთის ნაწილში, ქვაბულის ფედების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 60სმ, ბიჯით ხიმინჯების ღერძებს შორის 60სმ. ხიმინჯების ფარდა, გარდა ქვაბულის ფედების მდგრადობისა, გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას უახლოეს მომიჯნავე შენობა №1/1-ზე. საპროექტო „E“ ბლოკის აღმოსავლეთის მხარეს, ჩრდილოეთის ნაწილში, საპროექტო საძირკვლის ფილის ძირის ნიშნული გათანაბრებულია მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიანი შენობა №1/1-ის არსებული საძირკვლების ძირის ნიშნულთან, რაც გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას მომიჯნავე შენობა №1/1-ზე.

დასავლეთის მხრიდან:

„C“ ბლოკი; „D“ ბლოკი და „E“ ბლოკი; საკადასტრო საზღვრიდან მოშორებული არიან საკმაოდ დიდი მანძილით (20მ და მეტი). „A“ ბლოკის ძირითადი ნაწილიც დაშორებულია საკადასტრო საზღვრიდან საკმაოდ დიდი მანძილით (15მ და მეტი), ხოლო მინიმალური დაშორება საპროექტო „A“ ბლოკის შენობიდან,

ს.ს. „ა(ა)იპ „ბაზისი XXI“ LTD 296

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №31, სახელმწიფოს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.117 მდებარე შენობა №02/4-მდე შეადგენს არანაკლებ 30,0 მეტრს.

„B“ ბლოკის შენობის სვეტები დაშორებულია საკადასტრო საზღვრიდან 2,30 მეტრით. „B“ ბლოკის შენობას შემდეგ ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ქუჩა ელიზბარ მინდელი, №12, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.054 ეზო და შემდეგ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა №04/16. შენობა №04/16 თექვსმეტსართულიანია, სარდაფის ერთი სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მინიმალური დაშორება საპროექტო „B“ ბლოკის შენობიდან მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე თექვსმეტსართულიან შენობა №04/16-მდე შეადგენს 17,0 მეტრს. „B“ ბლოკის შენობის საპროექტო ვერტილოვანი საძირკვლების და ქვაბულის ძირის ნიშნული თითქმის გათანაბრებულია მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე თექვსმეტსართულიანი შენობა №04/16-ის არსებული საძირკვლების ძირის ნიშნულთან, მინიმალური დაშორება შეადგენს 17,0 მეტრს რაც გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობა №04/16-ზე.

<u>ჩრდილოეთის მხრიდან:</u>

„C“ ბლოკი; და „A“ ბლოკი; საკადასტრო საზღვრიდან მოშორებული არიან საკმაოდ დიდი მანძილით (20მ და მეტი).

„B“ ბლოკს ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 12,0-20,0 მეტრის მანძილზე, შემდეგ ესაზღვრება შიდაკვარტალური გზა. დაშორება საპროექტო „B“ ბლოკის შენობიდან უახლოეს მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობამდე 40 მეტრზე მეტია.

„D“ ბლოკს ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 7,5 მეტრის მანძილზე, შემდეგ ესაზღვრება შიდაკვარტალური გზა. დაშორება საპროექტო „D“ ბლოკის შენობიდან უახლოეს მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობამდე 35 მეტრზე მეტია.

„D“ ბლოკს 5,0 მ მანძილზე ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე გამავალი მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორი. საპროექტო „D“ ბლოკის ჩრდილოეთის და სამხრეთის მხარეს, ქვაბულის ფედების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 60სმ, ბიჯით ხიმინჯების ღერძებს შორის 60სმ. ხიმინჯების ფარდა, გარდა ქვაბულის ფედების მდგრადობისა, გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას ამავე მიწის ნაკვეთზე გამავალ მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორზე.

„E“ ბლოკს 5,0 მ მანძილზე ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე გამავალი მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორი. შემდეგ ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ქუჩა ელიზბარ მინდელი, №10, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №01.14.05.006.001 მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა №01/11. შენობა №01/11 პროექტით თერთმეტსართულიანია, სარდაფის ერთი სართულით. კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. დღევანდელი მდგომარეობით აშენებულია სარდაფისა და შვიდი მიწისზედა სართულის კარკასი. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მინიმალური დაშორება საპროექტო „E“ ბლოკის შენობიდან მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა №01/11-მდე შეადგენს 9,0 მეტრს.

„E“ ბლოკის შენობის საპროექტო საძირკვლების ფილის და ქვაბულის ძირის ნიშნული თითქმის გათანაბრებულია მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე, მშენებარე შენობა №01/11-ის არსებული საძირკვლების ფილის ძირის ნიშნულთან, მინიმალური დაშორება შეადგენს 9,0 მეტრს რაც გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე, მშენებარე შენობა №01/11-ზე. ასევე, E“ ბლოკის შენობის საპროექტო საძირკვლების ფილის და ქვაბულის ძირის ნიშნული თითქმის გათანაბრებულია

GEORGIAN "BAZIS" 2022352

ამავე მიწის ნაკვეთზე გამავალ მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორის ძირის ნიშნულთან, რაც გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორზე.

სამხრეთის მხრიდან:

„A“ ბლოკი; „B“ ბლოკი; „C“ ბლოკი და „D“ ბლოკი საკადასტრო საზღვრიდან მოშორებული არიან საკმაოდ დიდი მანძილით (20მ და მეტი).

„E“ ბლოკს 5,0 მ მანძილზე ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №21, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.008 მდებარე შენობა №2/1. შენობა №2/1 ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით ლითონის კარკასული (მსუბუქი) ტიპისაა, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საპროექტო „E“ ბლოკის სამხრეთის მხარეს, ქვაბულის ფედების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების ფარდა, ხიმინჯების დიამეტრით 100სმ, ბიჯით ხიმინჯების ღერძებს შორის 100სმ. ხიმინჯების ფარდა, გარდა ქვაბულის ფედების მდგრადობისა, გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას უახლოეს მომიჯნავე შენობა №2/1-ზე.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქი თბილისი, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია, №31, სახელმწიფოს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.14.05.006.118, მოსარგებლე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს (ID: 204858163) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ობიექტების: „A“; „B“; „C“; „D“; „E“ ბლოკების მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობის პროცესში არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების არსებული მდგრადობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი /ვახტანგ ჯაფარიძე/

შპს „ბაზისი XXI“ * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

შპს „ბაზისი XXI“ * 96 XXI" LTD *

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე

ვახტანგს საქართველოს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შეიყვანა

სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის

და 1985 წელს დაამთავრა

ინსტიტუტი

სრული კურსი სპეციალობით ელექტრული

და საავტომატო მოწყობილობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.

"3" ივნისის გადაწყვეტილებით

ვ. ჯაფარიძეს მიენიჭა

ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. 29 " 05

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе

Вахтангу Константиновичу

в том, что он в 1980 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс

института

по специальности электрические

и электронные аппараты

Решением Государственной экзаменационной

комиссии от 3 июня 1985 г.

присвоена квалификация инженера-

электромеханика

Председатель Государственной

экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси "29" 05 1986 г.





ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. იველიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალეუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შპს „ბაზისი XXI“ * საქართველო * GEORGIA * "BAZISI XXI" LTD * 202235296

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963წ.
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	34 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	20 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2017წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	06.04.2020წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი



ვახტანგ ჯაფარიძე